ხ[ა]ზინა და რედაქცია
[ტ]ფილისი; სასახლის ქ.,
[თ]ავ.-აზნაურთ ქარვასლა
[ხე]ლ-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
[თ]ად მიმართავენ რედაქციის დილის
...3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.
[ხე]ლ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

[პ]ირ-პირი მოლაპარაკება რედაქ-
[ც]იასთან შეიძლება ყოველ დღე.
[ტ]ელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
...... 10 კაპ., ...—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
[გ]აზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 4 მან. და 50 კ.,

სტამბა ორთქლით მომუშავე სტამბა ტელეფონი 648.
ექვთიმე ი. ხელაძისა
ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

[ს]ტამბამ ახლად მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე [ბ]ეჭდავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საკრელი [ავ]ტომატიური აპარატებით.
მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი-[დან] (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.
[ას]რულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ად-[გ]ილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, [ბლა]ნკებს, იარლიყებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბა-[ზო ბ]არათებს და სხვ. და სხვ.
[ს]აქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ-[ად]. ტფილისის გარეშე შეუძლიან მიუგზავნონ ამ ადრესით: въ [Ти]флисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—15)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
[ჩა]ზე ზუბალოვის სახლებში ოფიცერთა საეკონომიო საზოგა-
[დო]ების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—7) ო. კორონა.

...ლეთ სწორეთ იმ ფირმებიდამ
... ისეთივე საიმედო, როგორც
[წა]სულ წლებში, ბაღდადებას
... ჯამაჯა დიდი მა
... ფასეთ. მსურველთ
... იანთ მოგვმართონ ჯერ-ჯე-
[რო]ბით: ოზურგეთში, ახალსენაკში
... ჩვენს წიგნას მაღა-
[ზიებ]ს, რომლებთაც დაეთმობა
... იაფად. საიმედო პირს ვაძ-
... ნისიათაც. ამასთანავე ვყი-
[დი]ულ მცირე ფასათ ბეჯიტის
... და წიგნაკებს აბრეშუმის
... მოშენებაზე.
(...—11) ძმ. თავართქილაძეები.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფე-
ნი: მარსკარისა, ნერვების, საქირურ-
გო, შინაგანი და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. მერაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი ნ. თ. ჭოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტ[ი]
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო
ფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

1) 30 ოქტომბრისთვიდამ 1898 წლ. მე-4165 ნომრით. ა) საჭიროა თუ არა ჯვარის წერის დროს წარდგენა მეტრიკულ მოწმობისა შობის შესახებ; ბ) კორწინებ ის ნებართვის შესახებ ნათესავთა შორის

უწმიდეს სინოდის განჩინებაში 30 ოქტომბრისთვიდამ 1898 წლ., განმარტებულია: ა) რომ არც სასულიერო კანსისტორიის წესდებულებაში, არც სამოქალაქო კანონებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ჯვრის წერის დროს წარდგენილ იქნას მეტრიკული მოწმობა ჯვრის დასაწერ პირის შობის შესახებ და ამის გამო ჯვრის წერის შეჩერებას იმ შემთხვევაში, როდესაც მეტრიკულს წიგნში არაა ჩაწერილი შობა სასიძოსი ან სასძლოსი, მაგრამ კრებული კი დარწმუნებულია ჯვრის საწერ პირთა სრულ ჭკასაკოვნებაში, არა აქვს კანონიერი და სამართლიანი საფუძველი; ბ) სამართლიანი არ არის ისიც, რომ სასულიერო წოდებამ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯვარს იწერენ საეკლესიო კანონმდებლობისაგან ნებადართულ ხარისხებში მყოფი ნათესავები (სასიძო და სასძლო), განმარტოს ის მიზეზები, რომელიც ასეთს შეუღლებას გამოიწვევს; და გ) რომ იმ შუამდგომლობასთან ერთად, რომელსაც სახეში აქვს ნებართვა ნათესავთა შორის ჯვრის წერისა, ამ ნათესაობის განსამარტავად წარდგენილი მეტრიკულნი ამოწერილობანი, როგორც ისეთი ქაღალდები, რომელნიც კანსისტორიაშივე რჩება, დღეების მარკებს არ საჭიროებენ.

# ახალი ამბავი

*** წარმოდგენამ ქართული დრამატ. საზ. სასარგებლოდ, რომელიც გუშინ წინ იყო გამართული სახელმწიფო თეატრში, დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. მთელი თეატრი თითო-ოროლა ადგილს მეტი სავსე იყო.

სცენის მოყვარეთა სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი საუცხოვოდ თამაშობდნენ, განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქართულს ვოდევილში ერისთავისა, წერეთლისა, ფალავანდოვისა და ბ-ნი ყურული, და ბ-ნნი ვახვახოვები. რუსულ ვოდევილში ბევრი აცინა საზოგადოება ბ-ნმა ოპოჩინინმა, აგრეთვე კარგები იყვნენ გერშელმანისა, ოპოჩინინისა, ბ-ნი ტატიშჩევი, თავ. ჩოლოყაშვილი და ვახვახიშვილი.

ცხოველ სურათებმა დიდი ზედგავლენა იქონია საზოგადოებაზე და განსაკუთრებით თამარ მეფის სასახლემ.

შემოსავალი იყო 2,400 მანეთამდე, ხარჯი ას თუმნამდეა, მაშასადამე წმინდა შემოსავალი უნდა იყოს 1,400 მანათამდე; ამ რიგად ქართულს დრამატიულს საზოგადოებას შეძლება აქვს საგანსოდ კიდევ გაუძლვეს ქართულ თეატრში წარმოდგენების მართვას.

ამ წარმოდგენის ასეთი შემოსავალი და საზოგადოთ ყოველივე სიამოვნება ამ წარმოდგენიდან უნდა მივაწეროთ კნ. ნინა ჩოლოყაშვილისას, რომელიც ცნობილია ვითარცა გულმხურვალე ქველმოქმედი და ქართველი მოღვაწე მანდილოსანი ჩვენს საზოგადოებაში.

N

*** ქართული სასულიერო კონცერტი. კვირას 4 აპრილს ტფილისის საკრებულოში (მუხრან ბატონის სახლებში) გამართული იქნება ფრიად საინტერესო კონცერტი ბ-ნი ი. მონადირაშვილის შედგენილის ხოროსაგან. კონცერტი განსაკუთრებით სასულიერო ხასიათისა იქნება. შემოსავალი ამ კონცერტიდან დანიშნულია მეტეხის ტაძრის შესაკეთებლად. რა თქმა უნდა, ჯერ თვით საგანი კონცერტისა და მერე თვითონ კონცერტი, რომელიც შესდგება ქართლ-კახეთის კილოსაგან, საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს.

*** გაზეთის წამღების საწყობი ქაზაყში. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას წელსაც დაუნიშ-, ნავს ქიზიყში შემდეგი ადგილები, სადაც გაიყიდებიან ვაზის სარწყ-ნი მანქანები და წამლები, მაგ. ველისციხეში, კარდანახში და კაკაბეთში.

*** ჯარში გასაწვევთა სახელი და გვარი. ამ თვის პირველიდან 15 მდე ქალაქის გამგეობაში გამოკრული იქნება სიები იმ პირთ, რომელთაც წელს მოუწევთ კენჭი ჯარში გასაწვევად, ესე იგი იმ ყმაწვილ კაცებთ, რომელნიც დაბადებულ არიან 1877 წ. 1 ოქტომბრიდან 1878 წლის პირველ ოქტომბრამდე.

*** რკინის გზას სოხუმსა და ეკატერინოდარს შუა, რომელიც უკვე მთავრობისაგან ნებადართულია, ამ გაზაფხულზე მუშაობას შეუდგებიან. მუშაობას, როგორც ამბობენ, ორივე მხრიდან დაიწყებენო. გზას აშენებს როსტოვი-კავკავის რკინის გზის საზოგადოება.

*** სამწუხარო ცემა-ტყეპა. გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“ საჩხერიდან აუწყებენ ერთს მეტად უსიამოვნო ამბავს: 26 მარტს თავ. ა. ს. წერეთელს და ს. ვ. ფრენკელს რაღაც ლაპარაკი მოსვლიათ და უცემიათ ერთმანერთი. მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ფრენკელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია თავ. წერეთლისათვის.

*** **ს. დარკვეთი** (იმერეთი). ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი. დარკვეთი, ეს ეს არის ცნობილი და ხშირად სახსენებელი შეიქმნა: ჭიათურიდამ აქ გამოჰყავთ რკინის გზა, რადგან შავი ქვის მადანი ბლომად იპოვება აქ და ამის მახლობელ სოფლებში ათასობით ახვევია მუშა ამ გზას და კლდეღრეებს ასწორებს. ორი სამი თვის შემდეგ მოგოგდება აქ ჭყვირილა მაშინა და მასთან გაჩნდება მოძრაობა ხალხისა. ნეტავი დარკვეთლებს! კარგი მისასვლელ-მოსასვლელი გზები, ნამეტურ რკინის გზა დიდი ბედნიერებაა, ვისაც ეახლოვება. ამიტომ, რასაკვირველია, დარკვეთლებს ძლიერ უნდა უხაროდესთ, მათ სოფელში, მათ კარის წინ რკინის გზის გაყვანა, მაგრამ სრულებით წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. ზევრნი უსიამოვნებას აცხადებენ ამაზედ და სჯავრობენ. რისთვის ნეტავი? ალბად შეუსმენელი, გაუგიბარი ხალხი ჰყოლია ამ სოფელსაო, იფიქრებს მკითხველი. პირველში მეც ასე მეგონა, ასეთი სიტყვები რომ მესმოდა, მერე კი აზრი შევიცვალე და ეს სიტყვები საფუძვლიანად მეჩვენა. რისთვის გეზარება ბერია, ე რკინის გზის ჩვენში მოსვლა? შევეკითხე ერთ მოხუცებულს, ყველგან დიდი სიხარულით ეგებებიან ამ გვარ საქმეს და შენ როგორ ამბობ ამას მეთქი?.. მეჯავრება და მითქვამს, ისე მეზარება—მეჯავრება, რომ ჩემი ნება იყვეს სულაც არ გავაჭაჭანებ აქეთ იმ გზას. ნეტავი ჩემ სიცოცხლეში არ მოეყვანათ აქ და მერე მადლი უფალს, რაც იქნებოდა. ნურც აგრე უგნური გგონივარო, მიპხრა ბერიამ, გზის გამოყვანა, დაახლოვება ყოველთვის და ყველასთვის კარგი და სასურველია. მეც ვაცი, მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, ჩვენში ამ გზის გამოყვანას სხვა გვარი საქმე სდევს თან: მისთვის გამოჰყავთ გზა, რომ შავი ქვის მადანი აქედან და სხვა მახლობელ სოფლებიდამ იღონ ჩვენ მიწა-ადგილში და ზიდონ მაშინით. ეს კი ისეთი საქმეა, რომელსაც არა სასიამოვნო შედეგი მოჰყვება ხოლმე, ამის დასამტკიცებლად შორს არ გვინდა წასვლა, მოიგონეთ სს. შუქრუთი, ღვიმევი, ჭიათურა და სხვები, რა იყვნენ წინეთ და ეხლა რა არიან. ეს სოფლები ეხლა წარმოადგენენ მინგრეულ-მონგრეულ ადგილებს, ხალხს, ნაცვლათ გამდიდრებისა, გაღარიბებულს. აქ ყველამ ქვის მუშაობა დაიწყო და შინ ოჯახის მოვლას თავი მიანება, თუმცა ფულის შოვნაში იყვნენ, მაგრამ მეტი მოთხოვნილებაც რასაც გაუჩნდათ და ღებულობდენ, იქვე აქრობდნენ ძმა ბიჭებში და „კეკელაებში“, ოჯახს არაფერი შემატება მოსცხებია ამითი. ხალხი გაირყვნა გაპირუტყვდა. აღარ სწამთ ღმერთი და ხატი, ნათელ-მირონობა და ნათესაობა აღარ არის, ღვთის მოშიშრობა და კეთილი კრძალულება. აღარ არის ძველებური სტუმართ მოყვარეობა, პატიოსნება და ზრდილობა. დანარჩენი ხვალისათვის.

ზემოურ-ქვემოური

*** **ს. ხვარბეთი** (გურია). მადლობის გამოცხადება. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივ-ცემული გაზეთის „ცნობის ფურცელის“ საშუალებით, გულწრფელი და უგულითადესი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემი მხრიდგან, ისე ხვარბეთის საზოგადოების მცხოვრებთაგან: ჩვენივე მამულის შვილს დროებით მცხოვრებს ქალაქ-ბათუმში კასიანე ბეჟუკისძე რუსიშვილს, რომელმაც კეთილინება და გამოუწერა ხვარბეთის სოფლის სასამართლოს ამა მდგომარე წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იმედია სხვებიც მიბაძავენ ამ პატიოსან და კეთილ მომქმედ-ადამიანის მაგალითს სხვა და სხვა საზოგადოებრივ საჭიროებაში.

ხვარბეთის სოფლის მწერალი იაკობ ღლონტი.

## ახალი მიმართულება კახეთის რკინის გზისა *)

(ინჟინერის კ. ნ. სიმბერგისა)

ამ მიმართულებას კახეთის რკინის გზისას შემდეგი უპირატესობანი აქვს შედარებით თავად-აზნაურთაგან შედგენილ გეგმასთან:

1) თუმცა თითქმის იგივე სიგრძე აქვს (განსხვავება სამი ვერსია), მაგრამ შიგ კახეთში 77 ვერ. გაივლის. თავად-აზნაურთა გამოკვლევით კი რკინის გზა კახეთში მარტო 39 ვერს სჭრის და თელავიდან ახმეტამდე და ბაკურციხიდან სიღნაღამდე მანძილს განზედა სტოვებს.

2) მთელი გზა მჭიდროდ დასახლებულს, წყლითა და ტყით შემკულს და კულტურით მდიდარს მხარეში გადის; თავად-აზნაურთა გამოკვლევით კი 65 ვერსი რკინის გზისა, ესე იგი 40% გატანილია უწყლო, და კლიმატიურად მავნე პირობათა გამო სუსტად ან სრულიად დაუსახლებელ მხარეში.

3) ადმინისტრატიულ ცენტრს კავკასიისას დაუახლოვებს ხევსურეთს, თუშეთს და ქისტეთს, რომელნიც დღეს ტოპოგრაფიულ პირობათა გამო სრულიად მოკვეთილნი არიან ტფილის.

4) ადვილად შეგვაძლებინებს კახეთის და ამიერ-კავკასიის გზების შეერთებას: შემაერთებელი ტოტი ზაქათალის მაზრას გაივლის—ლაგოდეხზე, ზაქათალაზე, კახზე—და შეუერთდება სადგურ ევლახს.

5) ემსახურება ყოველიფრით შემკულს უშველებელ მხარეს, რომელიც უგზოობისა გამო ვერა სარგებლობდა აქამდე ყოველი თავისი სიმდიდრით. თავად-აზნაურთა პროექტით კი რკ. გზა ჭალაუბნის გადასავლამდე იმისთანა მხარეში გავა, რომელიც არ არის მდიდარი და გარდა ამისა უკვე არსებულ რკინის გზიდან სულ 40—50 ვერსით არის დაშორებული.

6) თითქმის ერთი-ორად დაუახლოვებს ტფილის თელავის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილს.

7) თავად-აზნაურთა პროექტით ჭალა-უბნიდან ბაკურციხემდე გზა ცივ გომბორის ქედს მისდევს, ღრმადა სჭრის ხევებს, მიმდინარეობას უცვლის წყლებს და მით ავნებს უიმისოდაც უწყლოობით დაზიანებულ ვენახებს. ეს ნაკლი აცდენილია ახალი პროექტით.

8) სტრატეგიული მხრივ თითქმის მიაღწევს დაღისტანს და მით გააძლიერებს ჯარების გადაყვან

9) საუფლისწულო მამულებ თვისაც ეს გზა უფრო სასურვე არის, ვიდრე თავად-აზნაურთა მართულებისა.

თავად-აზნაურთა გამოკვლევ სულ 5,222 ათასი ფუთი საქო ლი არის წელიწადში კახეთ გამოსატანი. ამ ახალი გამოკვლ ვით აღრიცხულია 9,885 ათა ფუთი.

| სახეები | ფუთობით: თიანეთ. მაზრა | თელავის მაზრა | სიღნაღის მაზ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| პური, ქერი, სიმინდი | — | 8,00·000 | 1,200,000 | 2,000,000 |
| სპირტი | — | | 43 750 | 43,800 |
| ღვინო | 36,180 | 1,656,800 | 178,000 | 1,870,000 |
| ხილი და ჩირი | — | 520,000 | 100,000 | 620,000 |
| ერბო, ყველი | 19,420 | — | 40,480 | 60,000 |
| საქონელი | 171,920 | — | 108,290 | 280,300 |
| მატყლი | 27,050 | — | 34,375 | 61,000 |
| აბრეშუმი | — | | 10,000 | 10,000 |
| ხე-ტყე და შეშა | 2,799,030 | 1,084,489 | 904,769 | 4,790,000 |
| თამბაქო | — | | 33,000 | 33,000 |
| ხელოსნური ნაწარმი | | | 20,000 | 20,000 |
| თევზი და ფრ. სან. | — | 1,553 | 2,190 | 3,800 |

რკინის გზა შეიტანს კახ წელიწადში 1,767 ათას ფუთ ქონელს, სახელდობრ: მარი რკინას, ნავთს, შაქარს და სხ

ახალი მიმართულების რკ გზა 11,396.7 ოთხ-კუთხ ვე 1.118,787 დესეტინას ემსახურ მაზრებს: სიღნაღისას, თელავ თიონეთისას და ნაწილს დუშეთ

გარდა იმისა, რაც დღეს მო კახეთში, რაკი მაზრა გაეხს კიდევაც ბევრი ახალი წარმ გაჩნდება. ვინ წარმოიდგენდა ყარაიში ისე კარგად იხარებ ძვირფასი მცენარენი? მაგრამ ვიდა რკინის გზა და ააყვავ რაიის მინდორი. კახეთში ძა კარგად იხარებს ბრინჯი, ხე,(Pistacia mutica) ფსტა, რანა, მიწას თხილი (Arachis pogaea), ბამბა, გენაგეჩაკი, ბახტი, თამბაქო, კაპარისი ( paris spinosa), შაქრის სო (Sorghum sacharatum) და სხვა

(დასასრული იქნება)

## თეატრის მატია

**სოფ. ახალ-შენი.** ქარ წარმოდგენა. კვირას, 28 მ სოფ. ახალ-შენში სცენის მ რეთაგან წარმოდგენილ იქმ ერისთვის კომედიები „ძუნწი „უჩინ-მაჩინის ქუდი“. მარ რომ სთქვას კაცმა, აქაური ნის მოყვარენი ხიდისთავე მატურგებივით“ გაბედულ

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 786.

ან, მაგრამ იმათსავით სცენა-
„კამოჯინჯრიკებაო“, რო-
ც ბ. ხიდისთაველი მონარდე
ნებს, არჩიეს რამე ცოცხა-
ომედია აელოთ ხელოვნურად
რულებინათ თავიანთი როლე-
ა საზოგადოებაც ესიამოვნე-
ო. სთქვეს და აასრულეს კი-
ენერგიულად მოჰკიდეს სა-
ბელი და ისე მოხდენილად
აუცხოვად ჩაატარეს თავიან-
როლები, რომ საზოგადოების
ცებას საზღვარი არა ჰქონდა
ველანი ვაშას ძახილით დაა-
დოვა. საუცხოვოდ ჩაატარეს
ნთი როლები: ქქ. თ. და ა.
ნდაძის ასულებმა, ბბ. მ. ჯუ-
მა, ა. ჟღენტმა, ე. კალანდა-
ე. ბერიძემ, დიმ. კალანდაძემ
ხვებმა. წარმოდგენა საქველ-
ედო მიზნით იყო გამართული.
ფ. ახალ-შენში არსებობს
კლასიანი სამრევლო სკოლა,
ლიც ხალხის სიღარიბისა,
ხვა რამ მიზეზით ისეთ უყუ-
ებოდ არის მიტოვებული,
შესაბრალისია მისი ეხლან-
მდგომარეობა. მისი მშვე-
ი მხოლოდ ადგილობრივი
ელია და თითო-ოროლა სხვა
-შემატკივარი ადამიანები, თო-
ცეცხლი ეკიდებოდეს, სხვები
აც არ გაანძრევენ. ეხლა სკო-
ადგილის გამოცვლა ეპიკრე-
, (ამდენხანს ნაქირავებ ადგი-
იყო, და 5 მ. იხდიდ-
წელიწადში), მაგრამ საშუა-
კი არაფერი იყო. აი ამ უკი-
ესი მდგომარეობიდამ სკოლის
ა იკისრა ქ-ნმა გოგოლი ბე-
ანისამ, რომლის გამგეობითაც
გამართული წარმოდგენა.
ედ ქების და დიდების ღირ-
ს პატიოსანი ადამიანი, რო-
ც ყოველ საზოგადო საქმეში
ველე მონაწილეობას იღებს
ძლებისა და გვარად დახმა-
ს უწევს. უღრმეს მადლობას
რავთ ქ-ნ გოგოლი ბერეჟია-
ამ კეთილი საქმის დაგვირ-
ებისათვის. წარმოდგენას ხალ-
ლომად დაესწრო, მიუხედა-
იმისა, რომ ხიდისთავის „დრა-
რგ ჯინჯრიკორნები“ დიდათ
უშლიდათ და ხალხს აგუ-
ებდნენ, არ დაესწროთ წარ-
ენას იქ „ცივნობენ“ სხვა
ერიო. „ეს ხომ არ ახალია ძვე-
. ასეთი ამბავი გასაკვირათ
რის მაგათგან. პარტიობა, დას-
ბაა, მაშ რა ჯანდაბა?!
თქმა უნდა ქ-ნი გამგე შემო-
ს ანგარიშს გვაცნობებს.
გაშტრიქინებული ყაძახი

## რჩეული აზრები

ქვეყანაზე არის ერთი უსაძაგ-
ტანჯვა, რომელსაც ქრთება
ნდობა.

✦ უპატიოსნო კაცი ბევრა-ბევრი, ერთი მეჯა თიხაა, რომელიც დავარაყებულია.

✦ ბედნიერი ის კი არ არის, ვინც ყველაზე ჭკვიანია, არამედ იგი, ვისაც თავის თავი ყველაზე უფრო ჭკვიანი ჰგონია.

✦ კიბო თუ უკუღმა დადის, იმიტომა, რომ სხვა საარული არ იცის.

✦ მწერალპერი მათხოვრობით ნაშოვნი და მძამეა სხვის კიბის საფეხურები.

✦ მე არა მწამს კაცის აგ-კაცობა, მე მჯერა მხოლოდ ადამიანის ყვიცობა.

## ვასართიბი

1814 წელს გერმანეთის სპასალარი ბლიუხერი პარიზში შევიდა და ამ საზღვრგანგ სამხედრო ხარჯი გადასხდევინა 200,000 ფრანკი, რომელიც მაშინათვე თავის ჯარებს დაურიგა. კარგა ხნის შემდეგ, როცა ხსენებული თმის ანგარიშებს ამოწმებდნენ, სამხედრო უწყებამ დაინახა, რომ ბლიუხერს 200 ათასი ფრანკი მიეღო და სპასალარს მოსთხოვა ანგარიში და საბუთების წარმოდგენა. ამაზე ბლიუხერმა შემდეგი წერილი წარუგზავნა სამხედრო უწყებას:

„ბატონებო საფრანგეთში მივიღე . . . . 200,000 ფრანკი.
იქვე დავხარჯე ჯარებზე 200,000 ფრ.
ძირს დარჩა 0.

ვისაც ეს არ სჯერა, იგი დიდ ურა ვირია. ბლიუხერი.

## ყურმოკრული საუბარი

— მაშ ცოლი შეირთე, რაღა?

— შევირთე, ჩემო კარგო!

— ეჰ, შეველის, სიყვარულით შეირთავდი.

— სიყვარულით კი არა, სისულელით შევირთე, ჩემო მეგობარო!

—

— მე არაფრად მიღირს საათში ლექსი დავწერო.

— ალბათ შენი ლექსები ამიტომაც არაფრად ღირან!

## სხვა-და-სხვა ამბავი

თამბაქოს გავლენა. ამერიკის ზოგ უნივერსიტეტებში სასტიკად აღკრძალულია თამბაქოს მოწევა, რადგან, როგორც გამოცდილება ამბობს, ის სტუდენტები, რომელნიც თამბაქოს ეწევიან, უფრო ცუდად სწავლობენ, ვიდრე ისინი, რომელნიც არ ეწევიან.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

27 მარტი.

**კრასნოიარსკი.** შუა-ციმბირის რკინის გზის ოლგას სადგურზედ არქიელმა ევთიმემ აკურთხა ეკკლესია, რომელიც აგებულია მისის უმაღლესობის დიდის მთავრინა ოლგა ნიკოლოოზის ასულის დაბადების სახსოვარ-საყოფელად. წირვის შემდეგ ენისეის გუბერნატორმა ხალხს დაურიგა ლამაზი სურათები მეფის სახლობისა. სურათი გამოცემულია ე. ვ. ბოგდანოვიჩის მიერ.

**პარიზი.** დიუპუიმ წარმოსთქვა სიტყვა პიუიში გამართულ ნადიმის დროს თავისს ამრჩეველთა წინაშე, რომლითაც აღნიშნა, რომ საზოგადოდ საფრანგათი კეთილსაიმედო მდგომარეობაშიაო. რესპუბლიკას სრულიად არა აქვს შიში ზოგიერთა საამბოხო სურვილებისა, იმ ზოგიერთთა, რომელნიც ყოვლად აღუსრულებელ პლებისციტისა და მოჩვენებულ განახლება-გარდაკეთების ოცნებაში არიან. ევროპის წინაშე რესპუბლიკის სიმტკიცე და ცხოველ-მყოფელობა უკვე დაამოწმა იმ გარემოებამ, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად მტკიცე რესპუბლიკელი იქმნა ძალ-დაუტანებლად არჩეული. დიუპუიმ ისიც განაცხადა, რომ ეკონომიური ვითარება ქვეყნისა კარგს მდგომარეობაშიაო. სიამოვნებით აღნიშნა-რა საფრანგეთ-იტალიის მორიგების ამბავი, დიუპუიმ იქ[ვ]ე მყოფთ გაახსენა ეხლანდელი ხელშეკრულობა ნიგერის შესახებ დადებული,—რომელიც საფრანგეთისათვის უზრუნველ-ჰყოფს, ჩრდილოთ-დასავლეთ აფრიკაში ნამდვილს საახალშენო იმპერიასაო. ფაშოდის საქმე დამთავრდა საფრანგეთის სარგებლობის შესაფერადო. შემდეგ მინისტრმა დაასახელა ის ღონისძიებანი, რომელნიც ხმარებულია კიდეთა და ახალშენთა დასაცველად და დასძინა, რომ საფრანგეთს შეუძლიან რწმენითა და იმედით მიეგებოს მერმისსაო. ეხლანდელი აგიტაცია უმნიშვნელოაო. შემდეგ დიუპუი შეეხო დრეიფუსის საქმეს და სთქვა: „ჩვენთვის საჩინოდ ყოფილია ამ საქმის დასასრული. მისი დამთავრება საკასსაციო სასამართლოს საქმეა, რომლის გარდაწყვეტილებასაც ყველანი პატივისცემით უნდა მოვეკიდნეთ. საკასსაციო სასამართლო სამართალისა და სამართლიანობის თანახმად გამოსთქვამს თავისს აზრს. ჩვენ ვკიცხავთ იმ მითქმა-მოთქმას სიტყვიერსა თუ წერილობითს, რომელიც ამ საქმეში ჩვენს ჯარსა ჰრევს. განაჩენის დადგენილებისათანავე, ნათელი შეიქმნება, ვინც რის პასუხის მგებელია, და დამტკიცებულიც იქნება ასეთი პასუხის-მგებლობა ვისიმე, თუ საჭირო გახდება ეს. ხოლო ეს დამტკიცება და ეს დასჯა კერძო ცოდვებისათვის არ შეეხება ჯარს, ამ [illegible] ოჯახს, რომელსაც ეკუთვნიან ჩვენის სამშობლოს ყველა შვილნი; ჯარს, რომელნიც წინდია ჩვენის უშიშრად ყოფნისა აწმყოში და იმედია მომავლისა და აგრეთვე დამოუკიდებლობისა, კონსტიტუციისა და კანონების მტკიცე ზღუდეაო“. (ხანგრძლივი ტაშის ცემა ისმის).

**ალჟირი.** დღეს დილით მაქს როჟი იმის გამო, რომ გუშინ კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა და სასტიკად გაჰკიცხა ალჟირის გუბერნატორი და პრეფექტი, დაპატიმრებულ იქმნა.

**ტომსკი.** უნივერსიტეტის საბჭოში ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ზაფხულს ენისეის მიდამოებში ექსპედიცია გაჰგზავნოს სამეცნიერო აზრით. თუ წავიდა ექსპედიცია, იგი გზად ანდრეს შესახებ გავრცელებულს ხმების სიმართლესაც გამოიკვლევს

**პარიზი.** დიუპუიმ ინახულა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელენი. გენერალმა ჟაკმენმა განაცხადა, რომ ჯარს სწამს მთავრობის მეთაურისა და სამხედრო მინისტრის სიტყვები და იგი ხმაამოუღებლად ელის გარდაწყვეტას იმ საქმისას, რომლისაკენაც მიპყრობილია ყურადღება მთელის საზოგადოებისაო. დიუპუიმ უპასუხა, რომ ის სიტყვები, რომელიც გუშინ წარმოვსთქვი ჯარის შესახებ, გულმა და გონებამ შთამაგონაო. როდესაც მთავარ საბჭოს პრეზიდენტი მიესალმა, დიუპუიმ მიუგო, რომ ყოველსავე ღონისძიებას ვიხმარ, რომ პოლიტიკას ის მიმართულება მივცე, რომელიც ერთგვარად შორს იქნება სარევოლიუციო მისწრაფებათაცა და ცეზარიზმისაგანაცაო.

30 მარტი

**მადრიდი.** დედოფალმა — რეგენტშამ მოაწერა ხელი დეკრეტს ფილიპინების ობლიგაციების გასტუმრებისათვის ახალ[ი] ვალების შესახებ.

**პარიზი.** „Figaro“-ში დღეს იქნება დაბეჭდილი საყურადღებო ჩვენება კაზიმირ პერიესი, გენერალ გალიფესი და პოლიტეხნიკურ სასწავლებლის მასწავლებლის პენლევისა. ამტკიცებენ, რომ ამ ჩვენებაებში ახალი ფაქტები იქნებაო. გალიფემ ჩვენბა მოსცა პიკარის სასარგებლოთ. პენლევი უარს ჰყოფს იმ ხმებს, რომელსაც აწერენ დრეიფუსის ნათესავს გადამარს დრეიფუსის დანაშაულობის შესახებ.

**ლონდონი.** ამბობენ, რომ ინგლისის წარმომადგენლად კონფერენციაზედ გაგაში დანიშნულნი არიან ბრიტანიის ელჩი ვაშინგტონში და ბრიტანიისავე ელჩი

ვაგაშიო; ფლოტისა და მხედრობის შესახებ წარმომადგენლად იქნებიან ვიცე ადმირალი ფიშერი და გენერალ მაიორი არდაგი.

**სოფია** „ბოლგარიის სააგენტო“-ს ყოვლად უსაფუძლოდ მიაჩნია სხვა-და სხვა გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობები, ვითომც ოსმალეთის ელჩს ბელგრადში ბრძანება მიეღოს, ყოველივე კავშირი შესწყვიტე ბოლგარიის დიპლომატიურს აგენტთან ბელგრადში. როგორც ისმის, კონსტანტინეპოლში გაწვეულ ფეტიბეისათვის საყვედური უთქვამსთ, რომ მას არ სცოდნია, რომ დიდი ხანია გარდაწყვეტილია, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ოსმალეთისა და ბოლგარიის წარმომადგენელთა შორის.

**ვენა.** „Neue Frei Presse“-ს დეპეშით სწერენ რიგუზიდგან, რომ ჩერნოგორია ჰნიშნავს თავისს წარმომადგენლად სამშვიდობო კონფერენციაზე პლამენაცის ვოევოდის ბოჟე პეტროვიჩს, მინისტრად ნამყოფს ბ. გიჩევიჩს და მდივანს მატანოვიჩს.

**ბერლინი.** იმპერატორისა, იმპერატრიცასი, სასახლის მრავალ წევრთა და თავადის ანტონ რაძივილის ყოფნის დროს ახალ საოპერო თეატრში არტისტმა ქალმა სავინამ შეასრულა თვისი როლი ოსტროვსკის პიესაში, რომელსაც სახელად ეწოდება „ვასილისა მელენტიევა“. იმპერატორს რუსეთის მუნდირი ეცვა. სასახლის ლოჟაში იყო რუსეთის ელჩი, რუსეთიდგან მოსულ სტუმართ მიეგებნენ დიდის პატივისცემითა და მიართვეს მრავალი ყვავილები.

**ორი წლის შემოსავალი** (1897 და 1898 წ.) **განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად დაარსებულ ბიბლიოთეკისა.**

მ. კ.

1) წერა-კითხვის გამ. ს. 200 „ „
2) ბაქოს საქ.-მოქ. საზ. 150 „ „
3) მ. შგ. გ. ლ. დადიანისაგან . . . . . 40 „ „
4) უფ. ტუგილევისაგან . 200 „ „
5) ქუთაისის ნოქრების შემოწირ. წიგ. გაყიდვისაგან 65 „ „
6) ი. ლ. ქორქაშვილისა კონცერ. შეკრებილი . . 163 „ „
7) ა. გ. ანანიევისაგან შეკრებილი . . . 50 „ „
8) წიგნების სარგებლობ. 75 „ 19
9) მ. პ. ჯანოვისაგან, მისგან შეკრებილი სადამ 745 „ „
10) ე. ი. ნიკოლაძისაგან შეკრებილი . . . . . 44 „ „
11) დ. ს. ქიქოძე. . 20 „ „
12) დ. ა. ლორთქიფანიძე 5 „ „
13) თ. კნ. ო. წულუკიძე 2 „ „
14) ვ. ძ. დადაევმა. . , 4 „ „
15) მ. შნეიდერმა . . . 5 „ „
16) ნ. აბაშიძისა . . . 2 „ „
17) მ. მიქაბერიძე . . 2 „ „
18) ს. ჯორჯიკიამ . . 4 „ „
19) კნ. სოფ. მიქელაძისამ. 4 „ „
20) კ. ალ. მიქელაძემ . 7 „ „
21) კნ. დ. ფალავამ. . . 4 „ „
22) მ. გიგაურისამ . . 4 „ „
23) მ. ჩოგოვაძემ . . . 2 „ „
24) ოლ. მკურნალისამ . 5 „ „
25) ა. ჩიქოვანმა . . . 2 „ „
26) მ. ვარდოსანიძემ. . 3 „ „
27) კნ. ნ. თავდგირიძისამ. 4 „ „
28) ბ. გოლსკისამ . . . 4 „ „
29) მ. კალანდარიშვილმა. 2 „ „
30) კნ. ა. თუმანოვისამ . 2 „ „
31) ვ. ვ. ვასილიევმა. . 4 „ „
32) მ. ა. ქიქოძე . . . 8 „ „
33) დ. ირადიანცმა. . . 5 „ „
34) ა. ანიაშვილმა . . . 5 „ „
35) მ. ჯიქიამ . . . . . 2 „ „
36) ო. ჯიქიამ . . . . 2 „ „
37) ს. ჯიქიამ . . . . . 2 „ „
38) კნ. ს. ლორთქიფანიძემ 4 „ „
39) ს. ჯაფარიძემ . . 4 „ „
40) ა. დვარაკოვსკაიამ. . 4 „ „
41) ლ. თ. ლოლუამ . . 7 „ „
42) ი. ოცხელმა . . . 4 „ „
43) დ. ბარათოვმა . . . 2 „ „
44) ა. დოდობერიძემ . . 2 „ „
45) ი. ხოშერიამ. . . . 2 „ „
46) ი. სანებლიძემ . . . 2 „ „
47) მღვდელ მთავარმა ცაგერელმა . . . 5 „ „
48) კ. მ. წულუკიძისამ . 4 „ „
49) ა. ნიჟარაძემ . . . 2 „ „
50) ნ. ჩხიკვაძემ . . . 2 „ „
51) კ. ი. მელიქოვმა . 4 „ „
52) ბ. ო. კანდელაკმა . 4 „ „
53) უ. ჩხიკვაძემ . . . 2 „ „
54) კ. კ. ნიჟარაძემ. . . 2 „ „
55) კორძაიამ . . . . . 2 „ „

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

„НИВА“

Подписчики „НИВЫ“ получають въ 1899 г.:

**52 №№** журнала „НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

**12 ТОМОВЪ** полнаго собранія сочиненій И. А. Гончарова, которое явится первымъ по полнотѣ содержанія (такъ какъ въ него войдутъ разсказы, не помѣщен. въ прежн. изд. нихъ, стоящихъ **13 руб. 50 коп.**) и будетъ отпечатано на хорошей бѣлой глазирован. ной бумагѣ.

Подписная цѣна „НИВЫ“ на годъ со всѣми приложенія[ми]:

Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к.
Съ доставк. въ СПБ. 6 р. 50 к.
Безъ доставки: 1) въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской—6 р. 25 к., 2) въ Одессѣ, въ книжн. магаз. „Образованіе“—6 р. 50 к.
Съ перес. во всѣ города и мѣстности Россіи .
За границу
Разсрочка [пла]тежа въ 2 срока

Даетъ въ теченіе однаго 1899 года своимъ подписчикамъ

БЕЗПЛАТНО

полное собраніе сочиненій

Гончарова

**Содержаніе: томъ I.** Портретъ и факсимилэ И. А. Гончарова.—Б[іогра]фическій очеркъ С. А. Венгерова.—Лучше поздно, чѣмъ никогда. К[ритическія] замѣтки.—Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ частяхъ. Ч. I. **Томъ II.** [Обы]кновенная исторія. Ром. въ 2-хъ ч. Ч. II. **Томъ III.** Обломовъ. Ром. въ [4-хъ] ч. Ч. I и II. **Томъ IV.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч. Ч. Ш и IV. **Томъ** [V. Фре]гатъ Паллада. Очерки путешествія, въ 2-хъ ч. Ч. I. Главы I—V. [Томъ VI.] Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. I. Гл. VI—VIII Ч. II. [Гл.] I—IV. **Томъ VII.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. II. Гл. [V—]IX. **Томъ VIII.** Обрывъ. Ром. въ 5-ти ч. Ч. I и II. **Томъ IX.** Обрывъ. [Ром.] въ 5 ч. Ч. Ш. **Томъ X.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. IV и V. **Томъ XI.** [Три] очерка: I. Литературный вечеръ. II. Мильонъ терзаній. Ш. Замѣтки о [лич]ности Бѣлинскаго.—Иванъ Савичъ Поджабринъ. Очеркъ. **Томъ XII.** Вос[помі]нанія: I. Въ университетѣ. II. На родинѣ.—Слуги стараго вѣка. I. В[ален]тинъ. II. Антонъ. III. Степанъ съ семьей. IV. Матвѣй.—Очерки: П[ре]ность судьбы. Май мѣсяцъ въ Петербургѣ.

**12 КНИГЪ** «Ежемѣсячныхъ литерат. приложеній» (романы, повѣсти, [раз]сказы, популярно-научныя статьи и пр. современ. автор[овъ]).

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ» (до 300 модныхъ гравюръ по [пос]лѣднимъ фасонамъ лучшихъ мастеровъ).

**12 №№** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ въ нат[урал]ную величину (около 600 рисунк. и чертеж.). СТѢННОЙ [КА]ЛЕНДАРЬ на 1899 г., печатан. красками.

**Иллюстрированное объявленіе высылается безплатно.**

Требованія адресовать въ Главную Контору журнала „НИ[ВЫ]“

С.-Петербургъ, Малая Морская, 22. (12—

Открыта подписка на журналъ „Новый міръ“ на 1899 годъ

Подписная цѣна годовому изданію „НОВЫЙ МІРЪ“ со всѣми преміями и приложеніями съ дост. и перес. . . . 14 р.

ПОДПИСЧИКИ „НОВАГО МІРА“ ВЪ ТЕЧЕНІЕ 1899 г. ПОЛУЧАТЪ СЛѢДУЮЩІЯ ШЕСТЪ ИЗДАНІЙ:

I. ЖУРАЛЪ „НОВЫЙ МІРЪ“ СЪ СОВРЕМЕННОЮ ЛѢТОПИСЬЮ 24 выпуска въ годъ въ форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацій.

II. ОСОБЫЙ ИЛЛЮСТРИР. ОТДѢЛЪ „МОЗАИКА НОВАГО МІРА“ (24 выпуска въ годъ) составляющій какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знаніямъ, вмѣщающій въ себѣ 16 рубрикъ.

III. ЖУРНАЛЪ ЛИТЕРАТУРНЫЕ ВЕЧЕРА „НОВАГО МІРА“ 12 ежемѣсячныхъ иллюстрированн[ыхъ] книжекъ романовъ и повѣстей для с[е]мейнаго чтенія.

IV. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго собранія сочиненій И. И. Лажечникова, (ТОМ 1—6)

V. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго иллюстрирован. собранія сочиненій Генриха Гейне, въ переводѣ русскихъ писателей редакціи В. В. ЧУЙКО (ТОМЪ 1—6)

IV. ДВѢ изящно переплетн. кн[иги] формата in folio роскошнаго изданія Живописной Россі[и] посвященныя описанію черноземныхъ, нестепныхъ губерн. донско-каспійской обл. (12—